

წყლის ნანოწვეთების სტრუქტურის შესწავლა AOT-ის შებრუნებულ
მიკროემულსიებში მოლეკულური სინჯის გამოყენებით

ნინო ბაბაჯანაშვილი

ელ-ფოსტა: nino.babajanashvili207@ens.tsu.edu.ge

ქიმიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ი. ჭავჭავაძის
გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

შესწავლილია ანიონური ნატრიუმის ბის (2-ეთილჰექსილ)
სულფოსუქცინატის საფუძველზე მომზადებული შებრუნებული
მიკროემულსიების მიკროგარემო ულტრაიისფერ-ხილული
სპექტროსკოპიის მეთოდით ოპტიკურ სინჯად ო-ნიტროანილინის
გამოყენებით. გამოკვლეულია ლითიუმის მარილების დანამატების
გავლენა მოლეკულური სინჯის აბსორბციულ ელექტრონულ
სპექტრებზე წყალი/ზან მოლური თანაფარდობის ($W=2$) და ზეთის
ფაზის ნ-ოქტანის არეში. განსაზღვრულია მოლეკულური სინჯის
შეგნებულ მიცელებთან შეკავშირების მუდმივები.